

## ბუდაპეშტი-ვენის დეკლარაცია

### უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შესახებ

12 მარტი, 2010 წელი

1. ჩვენ, ბოლონიის პროცესში მონაწილე ქვეყნების უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრები, შევხვდით ბუდაპეშტსა და ვენაში 11 და 12 მარტს, რათა საფუძველი ჩაგვეყარა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე, რაც გათვალისწინებულია 1999 წლის ბოლონიის დეკლარაციით.
2. ქვეყნის გაწევრიანების დადგენილი კრიტერიუმების თანახმად, ჩვენ მივესალმებით ყაზახეთს, როგორც უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში მონაწილე ახალ ქვეყანას.
3. 1999 წელს ბოლონიის დეკლარაციამ ჩამოაყალიბა ხედვა 2010 წლისათვის საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიან და მიმზიდველ უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეზე, სადაც შესაბამისი პასუხისმგებლობის მქონე პერსონალით მხარდაჭერილ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი მრავალფეროვანი მისიები „ცოდნაზე დაფუძნებულ“ საზოგადოებაში; სადაც სტუდენტებს, რომლებიც სარგებლობენ მობილობითა და კვალიფიკაციების დაუბრკოლებელი და სამართლიანი აღიარებით, შეუძლიათ იპოვონ სწავლისათვის მათთვის საუკეთესო გზები.
4. 1999 წლიდან კულტურის ევროპული კონვენციის 47 მონაწილე მხარემ მოაწერა ხელი ამ შეხედულებებს და მათ მიღწევაში მნიშვნელოვანი პროგრესი აქვთ. ხელისუფლებას, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სტუდენტებსა და პერსონალს შორის უნიკალური პარტნიორობითა და ასევე დამსაქმებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ევროპულ ინსტიტუტებთან ერთად ჩვენ ჩავერთეთ რეფორმების მთელ სერიაში, რათა შეგვექმნა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცე, დაფუძნებული ნდობაზე, თანამშრომლობაზე და ასევე კულტურის, ენისა და საგანმანათლებლო სისტემების მრავალფეროვნების პატივისცემაზე.
5. ბოლონიის პროცესი და მისი შედეგი, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე, უმაღლეს განათლებაში რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობის უპრეცედენტო მაგალითია. მის მიმართ მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი მსოფლიოს სხვა ნაწილებში და ევროპული უმაღლესი განათლება მსოფლიოსთვის უფრო კარგად აღსაქმელი გახდა. ჩვენ მივესალმებით ამ ინტერესს და ველოდებით ჩვენი პოლიტიკის შესახებ დიალოგისა და თანამშრომლობის გაძლიერებას მთელ მსოფლიოში.
6. ჩვენ ყურადღება მივაქციეთ დამოუკიდებელ შეფასებასა და დაინტერესებული მხარეების ანგარიშებს. მივესალმებით მათ განაცხადებს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, პერსონალი და სტუდენტები სულ უფრო მეტად იზიარებენ ბოლონიის პროცესის მიზნებს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლონიის

რეფორმების განხორციელებაში ძალიან ბევრს მივალწიეთ, ანგარიშები გვიჩვენებს, რომ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ისეთი ძირითადი მიმართულებები, როგორცაა აკადემიური ხარისხებისა და კურიკულუმის რეფორმა, ხარისხის უზრუნველყოფა, აღიარება, მობილობა და სოციალური განზომილება სხვადასხვა დონეზეა განხორციელებული. ახლო წარსულის პროტესტმა ზოგიერთ ქვეყანაში, რაც გარკვეულწილად მიმართული იყო იმ განვითარებებისა და ღონისძიებების საწინააღმდეგოდ, რომლებიც არ იყო დაკავშირებული ბოლონის პროცესთან, შეგვახსენა, რომ ბოლონის პროცესის ზოგიერთი მიზანი და რეფორმა შესაბამისად არ იქნა განხორციელებული და განმარტებული. ჩვენ მოვისმენთ პერსონალისა და სტუდენტების კრიტიკულ მოსაზრებებს. აღვნიშნავთ, რომ პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობით აუცილებელია კორექტივების შეტანა და შემდგომი მუშაობა ევროპულ, ნაციონალურ და განსაკუთრებით კი ინსტიტუციურ დონეზე, რათა მივალწიოთ ისეთი უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნას, როგორც განვიზრახეთ.

7. ჩვენ, მინისტრები, პასუხიმგებლობას ვიღებთ, რომ სრულად და შესაბამისად განვახორციელებთ ლუვენის კომუნიკეთი შეთანხმებულ ამოცანებს და მომავალი დეკადისათვის დასახულ სამუშაო გეგმას. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, მის პერსონალთან, სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობით ჩვენ გავაძლიერებთ ძალისხმევას მიმდინარე რეფორმების დასასრულებლად, რათა აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს მიეცეს შესაძლებლობა, იყვნენ მობილურნი, გაუმჯობესდეს სწავლება და სწავლა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, გაიზარდოს უმაღლესდამთავრებულთა დასაქმება და ყველამ მიიღოს ხარისხიანი უმაღლესი განათლება. დაინტერესებული მხარეებისა და მთელი საზოგადოების მიერ ბოლონის პროცესის გაგების მიზნით, ასევე არ უნდა დავიშუროთ ძალისხმევა ეროვნულ დონეზე კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად.

8. ჩვენ, მინისტრები, კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ აკადემიური თავისუფლება, ისევე როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია და ანგარიშვალდებულება, წარმოადგენს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პრინციპებს და ხაზგასმით აღვნიშნავთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების როლს მშვიდობიანი დემოკრატიული საზოგადოებისა და სოციალური ერთობის განვითარებაში.

9. ჩვენ ვაღიარებთ აკადემიური საზოგადოების: ინსტიტუციური ლიდერების, მასწავლებლების, მკვლევარების, ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების - წამყვან როლს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის რეალურ ფუნქციონირებაში, სტუდენტებისათვის იმ ცოდნისა და უნარების განვითარებაში, რომელიც ხელს შეუწყობს, როგორც კარიერულ განვითარებასა და დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრებას, ასევე მათ პერსონალურ განვითარებას. ჩვენ ვაღიარებთ, რომ უფრო მეტად მხარდამჭერი გარემოა საჭირო პერსონალისათვის, რათა მათ განახორციელონ თავიანთი ამოცანები. პასუხისმგებლობას ვიღებთ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ფუნქციონირებასა და მის შემდგომ განვითარებაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალისა და სტუდენტების უფრო ეფექტურად ჩართვაზე. მხარს ვუჭერთ ევროპულ, ნაციონალურ და დაწესებულების

დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობას.

10. მოვუწოდებთ ყველა მონაწილეს ხელი შეუწყოს სათანადო სამუშაო და სასწავლო გარემოს შექმნასა და სტუდენტზე ორიენტირებულ განათლებას, როგორც გზას, რომელიც ეხმარება მოსწავლეს, მიუხედავად განათლების მიღების ფორმისა, მიიღოს საუკეთესო გადაწყვეტილება მდგრადი და მოქნილი სასწავლო გზის შესარჩევად. ეს ასევე მოითხოვს მასწავლებელთა და მეცნიერთა თანამშრომლობას საერთაშორისო ქსელების მეშვეობით.

11. ჩვენ, მინისტრები, კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ უმაღლესი განათლება არის საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ობიექტი. პასუხისმგებლობას ვიღებთ, რომ მიუხედავად არსებული რთული ეკონომიკური პერიოდისა, უზრუნველვყოფთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აუცილებელი რესურსებით იმ ფარგლებში, რომელიც ჩამოყალიბებულია და არის საჯარო ხელისუფლების მეთვალყურეობის ქვეშ. დარწმუნებულები ვართ, რომ „ცოდნით მამოძრავებელ“ მსოფლიოში უმაღლესი განათლება არის ძირითადი წამყვანი ძალა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციებისათვის. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ძალისხმევა სოციალურ თვალსაზრისით, რათა უზრუნველვყოთ ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის თანაბარი შესაძლებლობები, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ დაუცველ ჯგუფებს.

12. ჩვენ, უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეზე პასუხისმგებელი მინისტრები, ვთხოვთ ბოლონის სამუშაო ჯგუფს, წარმოადგინოს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში, განსაკუთრებით ნაციონალურ და ინსტიტუციურ დონეზე, ბოლონის შეთანხმებული პრინციპებისა და ძირითადი მიმართულებების შესაბამისი და მათი სრული განხორციელების ხელშეწყობი ზომები. მათ შორის განავითაროს ისეთი სამუშაო მეთოდები, როგორებიცაა: კოლეგების მიერ ურთიერთსწავლება, სასწავლო ვიზიტები და ინფორმაციის გაზიარების სხვა აქტივობები. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მუდმივი განავითარების, ზრდისა და გაძლიერების, ასევე ევროპის კვლევით სივრცესთან სინერჯის გზით შესაძლებელი გახდება პასუხი გაეცეს ყველა გამოწვევას მომავალ დეკადაში.

13. ჩვენი შემდგომი მინისტერიალი, პროგრესის შეფასებისა და ლუვენის სამუშაო გეგმის ხელშეწყობის მიზნით გაიმართება ბუქარესტში (რუმინეთი), 2012 წლის 26-27 აპრილს.